ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1896674

ნომერი: AR1308082

თარიღი : 07.05.2015

გაცემის თარიღი : 27.05.2015

გაცნობის თარიღი : 27.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07.05.2015 წ. #AR1308082 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა (თანაგამცხადებელი:ზურაბ ზატუაშვილი) და მოითხოვა 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 15.07.2013 წ. #773090

გადაწყვეტილებით #01.14.16.015.206 (3000 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.16.015.291 ფართობი – 4406 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.16.015.291 ფართობი – 4406 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-4406 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.16.015.291;
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: პირობებში ფუნქციურ ზონებად დაფიქსირდეს: სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2);
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ახალი შენიშვნა: დაცული იქნას ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობის განთავსება განხორციელდეს სპეციალურ ზონა 1 (სპეცზ–1)–ის არეალში (იხ. დანართ);
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2013 წ. #773090 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
6. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.